სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61023757685819

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190317939

რეგისტრაციის თარიღი

25.03.2019 წ

ნოტარიუსი: მაგდანა როყვა
მისამართი: ქალაქი ოზურგეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №4
ტელეფონი: 595202770

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდახუთ მარტს მე, ნოტარიუს მაგდანა როყვას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი ოზურგეთი, შოთა რუსთაველის ქ. №4, მომმართა ვალერიან მენაბდემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „ნიუ ვეი“-ს** (რეგისტრირებული 10/03/2015, საიდენტიფიკაციო კოდი: 406141107, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი, ზემო პლატო, კორპ.11, ბ.40) დირექტორი და სურს საზოგადოების სახელით შეადგინოს და სანოტარო წესით დაადასტუროს მინდობილობა.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვალერიან მენაბდემ, დაბადებული 01.01.1972 წელს, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 11, ბინა 40, პირადი #33001004115, მომმართა.

მე დავადგინე ის ფაქტი, რომ ვალერიან მენაბდე უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ნიუ ვეი“ თანახმად დანართში თანდართული დოკუმენტებისა.

მე შევამოწმე მინდობის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მიმნდობმა პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ნიუ ვეი“-ს (რეგისტრირებული 10/03/2015, საიდენტიფიკაციო კოდი: 406141107, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი, ზემო პლატო, კორპ.11, ბ.40) დირექტორმა ვალერიან მენაბდემ, შემდეგში „მიმნდობი“, გურამი ციმაკურიძეს, დაბადებული 02.04.1991 წელს, მცხოვრები: თბილისი ღვინის აღმ. N 7 ბ. 5, პირადი #01011076949, შემდეგში „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია საზოგადოების სახელით აწარმოოს მშენებლობა შპს „ნიუ ვეი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, #14-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქიზიყი, #14, კერძოდ, არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციის მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი: 4605.00 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.19.24.003.049), რისთვისაც მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, ამონაწერი; მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის ნებართვები/პროექტები, მშენებლობის ნებართვების მოქმედების ვადის გაგრძელების უფლებით; ჩაატაროს აზომვითი ნახაზები, დაარეგისტრიროს უძრავი ქონება საჯარო რეესტრში; იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ დაწესებულება-ორგანიზაციაში, მათ შორის იუსტიციის სახლებში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, საპროექტო სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მერიაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიწის რესურსების და მიწათმოწყობის კომიტეტში, სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურში, ლეგალიზაციის კომისიაში, ზედამხედველობის სამსახურში და სხვ.

ამისათვის მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, ამონაწერი; გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა სხვა აუცილებელი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მიმნდობის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ ამ მინდობილობაში მისი უფლებები ამომწურავად არა არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მიმნდობს, ხოლო მესამე ინახება ჩემს, ნოტარიუს მაგდანა როყვას სანოტარო არქივში, ასევე ჩემს სანოტარო არქივში ინახება:

1.ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17125203, 13/11/2017 13:49:09 (ელექტრონული ვერსია);

2. შპს „ნიუ ვეი“-ს წესდების, დამოწმებული ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილის მიერ 13.03.2015 წელს, რ.#150242690, ასლი.

გადახდილია საზღაური 10,0 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი _____ მაგდანა როყვა

საქართველო. ნოტარიუსი მაგდანა როყვა
GEORGIA. NOTARY MAGDANA ROKVA
33001079015